

ნახ. დ. პრინსტაპისა



— თოვლის ბაბუარ უნდა დამნიშნოთ!  
 — ვერა, მენატვალა, ახლა ჩვენთან სჯაროობაა და თოვლის ბაბუასაც ვირჩევთ!

88

# 88 - რედაქციისთვის, ახლად «ნიანკის» საახალწლო სუფრასთან



ვიღაცამ თურმე მშობელი მამის საფლავი გადახნა! -  
იმ გაჭირვებულს. იმ რევერენს ეს ჰგონებია გარდაქმნა!  
გული არ შერება, ვიამბოთ, რაც იმან ამის გარდა ქნა:  
ახალი სკოლა დაშალა და ეს ეგონა გარდაქმნა!..  
მერე ადგა და გამხრდელის შეურაცხყოფაც ინება!  
საჯაროობა ეგონა უშვერი ლანძღვა-გინება!  
საჯაროობად ზოგს კიდევ ის მიაჩნია, ჭაჭა რომ  
ჩაყაროს ქვაბში და მერე ხაღოს არაყი საჯაროდ!..  
ღმერთმა გვაშოროს გარდაქმნა ამნაირი და ასეთი! -  
ამას გვასწავლის რადიო, ტელევიზია, გაზეთი!..  
არავის მოუთხოვია კაცისგან კაცის გამოცვლა!  
ის კი არადა, ყანწისაც არავინ არ გთხოვს გამოცვლას!  
ჩვენი ჟურნალის სუფრასთან ნურავინ დააგვიანებთ!  
თან ისე ნურავინ დათვრებით, ქუჩაში წერდით რვიანებს!

დგას იანვარი ქართული და აქედანვე მაისობს!  
ილიას წლები დასრულდა? - აკაკის წლები დაიწყო!  
დიდი ქართველი ხალხისთვის ცეცხლის და სიტყვის მიმტანნი -  
მარად იცოცხლებს მის გულში ეს ორი დიდი წმინდანი!  
ილიას იუბილეზე თქვა ილიას ძემ სათქმელი!  
ენტო სცენაზე ილიას სახელი, როგორც სანთელი!  
გ. სალარაძეს აქ შეხვდა სხვა სალარაძე - ლევანი!  
სირიელ ქართველს ქართული მონატრებია მტევანი!  
სად იყო მანის, ბატონო, ქართველოლოგი ამდენი!  
უცხო ნათქვამი ქართული ენთო, ვითარცა სანთელი!  
გვიყვარს ყოველი მათგანი. ვეთაყვანებით, ვფასებთ,  
და მთელი სულით და გულით ვულოცავთ სტუმრებს ახალ წელს!

მართლა ლამაზი გრძნობაა, კაცს როცა კაცის რიდი გაქვს!  
ბაქრაძე! - აი, ვინ იცის, რაა ნამდვილი კრიტიკა!  
ახლა ბატონი აკაკი წიგნს წერს დუმბაძე ნოდარზე!  
ეჭვი არავის არა გვაქვს, რაღაცა ფარცავს რო დაწერს!  
სამოციან გახდა ბრწყინვალე პოეტი გივი ძნელაძე!  
როგორც ბურნატში იტყვიან, - სამოციან გახდა ელანძე!  
„არც ვან გოგი ვარ, არც კურბე, არც მატისი და ლეჟე ვარ!  
ვარ სამოცი წლის ზურაბი და ამდენისვე - ლეჟავა!“  
თამადა ბრძანებს: - ზურაბზე არის ეს თასი ანიო!..  
ა დღევანდელს ნაღდ მხატვარს, სპორტსმენს და კინომსახიობს!..  
სალუქვაძის ქალს ვუყურე: ტყვიას ტყვიასი აჯენდა!  
სახალწლოდაც ისროლა? მაგის ოჯახი აშენდა!  
გასული წელი ხომ ნაღდად ნანას დიდების წელია!  
წელსაც ტრიუმფებს ვუსურვებთ ჩვენს ძვირფას იოსელიანს!  
გადაჭრილია ის თოკი, რომლითაც მონანი ება! -  
ამას ამტკიცებს თენგიზის შედევრიც - „მონანი ება“!  
ნამდვილი საჯაროობა აქვს ჯაველიძე ელიზბარს! -  
თუ მოუქნიეს - იფარავს! თუ მოუქნია - ელის ფარს!  
ხალხს სიბღვას „ლიტსაქართველო“ ფერთა მიმზიდველ გამათი! -  
ნამდვილი აზრთა ჭიდილი, კვეთება, ბრძოლა, კამათი!..  
აბა, თუ მეტყვი, ვინაა, კუთხეში რომ ზის, ეგ ბიჭი?  
ქუთაისელი ლომია, ჩემპიონია რეგბიში!  
თუმცა „ტორპედოს“ გავარდნის ვართ ურვით გულდაისრული,  
რეგბი რბის, რეგბი გრიანებს ქართული - ქუთაისური!  
რეზოს რა ვუთხრათ, ჭეიშვილს, იცოცხლოს ნიჭით, გონებით,  
თავის ჟურნალით, პუმორით და თავის უბიჯონებით!  
მხილველი ადაფრთოვანა რ. მიშველაძის საღამომ!

რევაზის ახალ ტრიუმფებს მეც მიიღა მივესალამო!  
გიორგი შენგელიას ფილმს - „სარუბა და გოგია“ -  
მასებზე ემოციური ზემოქმედების ბომბი აქვს!..  
მსოფლიოს ორ დიდ ჩემპიონს - თედიაშვილს და ფსაკაძეს -  
ლევანს და ომარს - დღეს უკვე კინოსამყაროც აფასებს!  
კაცი, ვინც თავის კოლექტივს პირადად აძლევს მაგალითს,  
სანებლიძე არმაზი - ანტენასავით მაგარი!  
აღრე ჩერნობილს ეწვია, ამ საახალწლოდ - ავლანეთს!..  
პატივცემული არმაზი ძალიან ხომ არ დავღალეთ?  
მან კარგად იცის: თუ ზოგზე ნარკვევი უნდა გადასცეს,  
ზოგი - მკვლელი და თახსირი - ხატზედაც უნდა გადასცეს!

ეჰ, ჩემი ნება რომ იყოს, ყოველ გულბოროტ ნარკომანს,  
არც ნაკლები და არც მეტი - გავუმზადებდი სარკოფაგს!  
განა მინდოდა სხენება ნარკომანთა და მემკვთა,  
მაგრამ რა მექნა, სუფრიდან თუ მითი გაყრა მეწადა!  
მთლად მოიარო ხმელეთი, სხვაგან ვერ ნახო „თელეთი“!  
„თელეთის“ ძეხვს რომ შევხვდავ, მეც მომდის თელეთ-მელეთი!  
შემცდარი გახლავთ ნამდვილად, ვისაც არ უძევს თაროზე  
კოპერატორი „გურის“ ზღაპრად ქცეული „ჩაროზი“.  
ელარჯი ვჭამე სოლოლაკს, რომ ვერ შეეჭამდი ვერასდროს!  
საღამი ყველა მართალ და ღირსეულ კოპერატორს!  
უკვე ბავშვები აღარ ვართ - ხამს სმის დროს თითოა მოხრანი!  
ამაზე ფიქრობს „ნიანგის“ გრძელ სუფრასთანაც მუხრანი!  
რატომ ვერ ვხედავთ ლიანას, ზურაბს, პაატას, მაყვალას? -  
ვერ ასწრებს „აეროფლოტი“ მათს ჩამოყვანა-ჩაყვანას!  
გთხოვთ, მიესალმეთ ყმაწვილთა წიგნის სამეფოს - „ნაკადულს“!  
მელიას, უირაფს, მარტორკის, ბელურს, კოლიბრს, კაკადუსს!..  
ვანტანგ ჭელიძეს გადაჰყავს დღეს იგი ახალ რელსებზე!  
მაღე სულს დაღვეთ ყველანი მის გამოცემულ ლექსებზე!  
დროშას არავის არ უთმობს გ. გვერდწითელის „შერანი“!  
კვლავ სპირალურად მჩქეფარებს გ. ფანჯიკიძის მელანი!  
საქმე ტირაჟზე თუ მიდგა, ასათასიან ტირაჟით  
ხამს წიგნი იბეჭდებოდეს თამაზის, კვაჭანტირაძის!  
ვთქვათ ვინმე მესხი ლეილას საქებარ-სადიდებელი!  
ვთქვათ ჩვენი დერიუგინიც - მაღალი, უხვი, მდებალი!  
ქართულ კალათბურთს ალაღებს, ამალღებს გელა დარსაძე!  
ნამდვილი ვირტუოზია! - თუ ტყუილს ვამბობ, დამსაჯეთ!  
მართალი უთქვამს წინაპარს - მაღა მოდისო ჭამაში! -  
მეორე მესხიც ვახსენოთ! ვინმე კი არა - თამაზი!  
შევუკოთ გივი გვაგაჭკორს ანთოლოგია ფრანგული,  
ახას - ლექსი და სიმღერა, ჯანსუღს - ჩანგი და ჩანგური!  
ვასხენოთ ნაღდი მწვრთნელები - ქალაქელი თუ დაბელი!  
ზონინმა სწორედ დროულად გადააბრუნა ტაბელი!  
უშრომელ შემოსავლიდან მილონებზეც რომ მიცე,  
თავის ღუმელს და საამქროს არ მიატოვებს ლომიძე!  
დიდი მაქვს პატივისცემა მეც გაბრიაძე რეზოსი!  
დადებითაა მაგისი თეატრიცა და რეჟისიცი!

რამდენჯერ შეგვხვეწით და რამდენჯერ შეგემუდარეთ:  
ნუ დაღვეთ ღვინოს სუფრასთან, მაგრამ... ნურც ჩაის ნუ დაღვეთ! -  
არ დაიღვევა ეგ ჩაი - გამხმარი ყვერო ნამდვილი!  
ჩაის მოყვანა ძნელია, ჟვეროს მოყვანა - ადვილი!

ვაშა სვანეთის ხეობას! ვაშა სვანეთის მხნეობას!  
ვაშა სვანეთის ახალ წელს და ახალმოსახლეობას!  
შორს გადახვეწილ სტუდენტებს გისურვებთ შინ დაბრუნებას! —  
გამოდგომოდეთ თქვენს მიწას, ხალხს, წყალს, პაერს და ბუნებას!

გუჩაზე უკეთ რა გითხრათ, კვარაცხელია გუჩაზე! —  
სიამაყუა ნამდვილი, ეგ რომ ჩაივლის ქუჩაზე —  
მეცნიერი და პოეტი და სუთი შვილის მშობელი,  
სახე ღიმილით და მაინც — თვალზე ცრემლმუშურობელი!  
ვთქვით მრავალტკივილიანი კვიტიშვილი ემზარი!  
ბრწყინავს და რეკავს მამულში ემზარის ნიჭის მზეზარი!  
სალამი ბატონ ირაკლის და ყველა ენციკლოპედისტს!  
ვინ იფიქრებდა, ამ საქმეს თავს მოაბამდა პოეტი!  
წიგნი არის თუ მოწმობა, საბუთი ერის სიმწიფის!  
რა სიმძიმეა, რა სიბრძნე — გაგეწვივა წელში სიმძიმით!  
სალადობო და სათრეველ კუბლეტებს ახლა ბევრი წერს,  
მაგრამ სხვა არის რუსლანი! — რომელი? — მიჭაბუდიქ!  
(რად უნდა გვარში „მიჭა“, რა, არ ეყოფოდა ბერიძე?)  
იქ ჩიბურდონე მია! — აქეთ — თომამე მია!  
მღერა ჭადრაკის და მღერა! — მთავარი, ძამა, მია!  
ამაშუკელი ვლგუჯა! ბერძენიშვილი ვლგუჯა!  
იქვე — მადრამე ვლგუჯა, რომ ჩასცივინებს ძველ გუჯარს!  
ჩაჩავას დაკვრამ მომხიბლა და ობრაზცოვას არიამ!  
წარსულის კართან ბურჯად დგას ლორთქიფანიძე მარამ!  
თუმც ბუაჩიძე თენგიზი შეფად კულტურის ფონდშია,  
რასაც წერს, უმრავლესობა მწერლობის ოქროს ფონდშია!  
ბრძნულსა და მზიურ იუმორს აფრქვევს შიძინა კვარნაძე  
და არს მუსიკის ქართულ და რუსთაველიან მწვერვალზე!  
ილიას სახლ-მუზეუმის დირექტორია ყვარელში  
ი. ბერძენიშვილი — პოეტი, რაინდი უსაყვარლესი!  
ჭკვიანი კაცი სტურუას სულის ამოთქმას ადროვებს? —  
ან აიენს გაიპარება, ან მოსკოვში დგამს შატროვებს!  
ქველ ალფონსიძე ვლადიმერს შემოქმედებას ვუქებ მე!  
იცავს, თავისას კი არა, სხვის საავტორო უფლებებს!  
შარშან სამოციის შესრულდა ძვირფასი თამაზ ჩხენკელი —  
კალმით — სიკვდილის, ჯანით კი — სიბერის დამამარცხებელი!  
ვარ ჯავახაძე ვანტანგის წიგნებით ალტაცებული  
და მსიბლავს მისი ტანტანადი კაცობა ვანტანგებულში!  
მსოფლიოს ყველა ენაზე სცემენ გავრდილი ტირაჟით  
სიცოცხლისათვის საჭირო რომანებს ოთარ ჭილაძის!  
ამ რომანების მიხედვით (თუკი მოგვხელნი პოვებენ)  
წერენ ოპერებს, ბალეტებს და სიმფონიურ პოემებს!  
მადლობას მხატვრული სიტყვით გაყვადებული სულისთვის  
ვუცხადებ რევაზ თვარაძეს, ვარ მადლობელი სულ მისი!  
მწერლობა, ფილოსოფია მან იცის, ვინმემ თუ იცის!  
ბრწყინვალედ წერს და აზროვნებს, მჭევრმეტყველია დუმილიში!  
ქართველი ერი ამაყობს ლორთქიფანიძე გიგათი —  
დიდი ქართული თეატრის, ქართული კინოს გიგანტით!  
ჩქეფს ჩილაჩავა რაული, უკრაინაში დესპანობს!  
გოსტოვ, ჩინებულლო რაულ-ჩი, დაურჩი შენსა ერსაო!  
ვთქვით ოთარ ლორთქიფანიძე — მზედ ამომფრქვევი ვანისა —  
ტიმ სვეტინშია რომელსაც „არგოთი“ დიდთაყვანი სცა!  
კეთილ სულს და გულს შევუქებ დიდებულ ბელა შალვაშვილს,  
უმშვენიერეს ლირიკოსს, დას და მეგობარს ანასი!  
გვანთებენ მურშან ლეზანის ძის ლექსთა მწრვალებანი,  
ყოველთვე თითო მოზრდილ ტომს წერს ხანიკიძე ლევანი!  
ლომ შოთა ნიშნიანიძეს ამშვენებს ლექსი მშფოთავი!  
ამირეჯიბი ჭაბუა მოუცლელია დროსავით!  
უნდა ვაქო და ვადიდო მე ფოცნიშვილი მორისი  
ლექსისთვის, ნახატისთვის და სატირა-იუმორისთვის!  
როდესაც მამას ვახსენებთ, არ დაგივიწყოთ არც შვილი! —  
ვთქვით გიგი სულაკაური — ვაჟი ბატონი არჩილის!

სამოციის ხდება მთარგმნელთა მეუფე ოთარ ნოდია!  
გვაგივებს ნაღდად! — არც ახლა არ ჩამობრძანდა ოტია!  
ბრძენი ბაჩანა ბრეგვაძე ძველად თარგმნის და ძველად წერს!  
აქ უნდა ვაქო აკაკი — ნაკადულელი ბრეგვაძე!

ვხედავ „გურიის“ გავარდნას და შემოვარდნას ოდესის!  
აწ ესლა დაგვითა ნუგეშად — რეპორტაჟები კოტეხი!  
ჰა, ერთი მსახიობის და, კერძოდ კი კოტეხ თეატრი!  
ვინც ვერ ნახა და ვინც ნახა, ყველა იმ თეატრს შენატრის!  
ჩვენ მახარაძე სხვადა გვყავს: პატივცემული საშა რო  
თავის აზრს ბრძანებს სცენარზე, ქვე წყდება დავა საშარო!  
აუთო კი ისე გასუქდა, კანშიაც ვეღარ ეტევა!  
თუმც კანში ჯილდო მიიღო, კანშიაც ვეღარ ეტევა!  
ჩვენი პირველი სპორტსმენი დღეს საბელრვი ლერია!  
მთელ მსოფლიოში ჯერ ლერის ვერაგინ ვერ მოერია!  
ვთქვით გოგოლაძე თენგიზი — ჯენტლმენი მთელი არსებით,  
ნაღდი ოსტატი პროზისა და მეგობრული შარვების!  
ვაქით ხმასახელგანთქმული მძლე ანდლულაძე ნოდარი —  
მეცნატი და მოღვაწე, რაინდი, მართლაც ლომდარი,  
ერთადერთი ძე ლეგენდად, მითად ქცეული დავითის,  
ვისი სახელიც კრძალვის და რიდის გარეშე არ ითქმის!  
ამირეჯიბი თენგიზის აზრით, ეს წუთისოფელი, —  
არც ნაკლები და არც მეტი, — მუსიკას უდრის შოპენის!  
სამოცი წლისთავს ვულოცავ თენგიზს — დიდებულ პიანისტს,  
ვინც იუმორით სავსეა, „სიტყვა მუდის გზიანი“!  
საყვარელი და ძვირფასი დავით (დათიკო) დუნდუა  
მხატვარიც დიდებულია და პიროვნებაც დიდია!  
იგია ჩუმი მსახური ქართული წიგნის გრაფიკის  
და ტრიუმფულ გზას აგრძელებს გამომცემლობის გრაფიკით!  
გაბედულ ლექსებს შევუქებ ქვემრტელიძე იორამს —  
მეფარად მდგარს კაცურკაცობის ქედუსრულ კაკასიონად!  
მართალი სამართალისთვის ომობს, იომებს, იომამს..  
მას არაფერი ამქვეყნად არ ეჩვენება იოლად!  
ვთქვით გამყრელიძე თამაზი — მსოფლიო დონის ლინგვისტი,  
ქართული მეცნიერების სიამაყე და სინდისი!  
სამოცი წლისთავს ვულოცავ დიდ ვანტანგ ბალავაძესა —  
პროფესორს ჭიდაობისას, მძლეოთა მძლეების დამძლეებსა!  
ბრწყინვალე ლიტერატორის — ალ. (ალექსანდრე) სიგუას  
ნაწერებსა და კაცობას ხიბლი, სინათლე, სითბო აქვს!  
მას საამაყოდ (ამაყობს კიდევაც) ისიც ეყოფა,  
დიდი აკაკი შანიძე რომ თვლიდა თავის მეგობრად!

ღმერთო, მის ჩემპიონობას ვაფთა შორისაც მომასწრე! —  
მე მეტს ვერაფერს ვერ ვიტყვი დღეს გაფრინდაშვილ ნონაზე!

მთელი მსოფლიო აფასებს დიდ ქართულ კინოფელინებს —  
სიბრძნედ, სიკეთედ, სინათლედ და სითბოდ მიმოფენილებს!  
მოვარჩი, რაც მქონდა სათქმელი! ესაძის ქებას აწ ვიწყებ:  
თვით ფელინს მოსწონს თვით რეზოც და „ნეილონის ნაძვის სეც“!  
დგამს „დედერონის კაკლის სეც“ ესაძე თურმე ამჟამად!  
ლეღავსო ანტონიონი, წუხს თურმე: „ვაი ამ ჭამას!“

ცოტა შემკრთალი თამადა ეტყობა იმის გამო ჩანს,  
რომ ამ ჩამოთვლა-ჩათვლაში ათასი ვინმე გამოჩნდა..

გუგუნებს ექო ზეიმის — სამოცდაათი წლისთავის,  
რაც ჩამოვადგეთ ხელმწიფე თავისი ჟანდარმ-პრისტავით!  
დაიდი რევოლუციის გრძელდება მძლავრი მსვლელობა!  
დიდება გლეხის მარჯვენას და მუშის მოუცლელობას!  
სხვა თვალთ გვიმზერს მსოფლიო, სხვა თვალთ გვიმზერს იანკიც!  
მშვიდობა გარდუვალია! — ამას ვამტკიცებ ნიანგიც!



# საქართველო უპიტიუიბ

ვიცი, „მწარედ“ დამიტირებთ, როცა გარდავიცლები! — ცხედრის წინ სომ თქვენ, ქალები წარამარა იცელებით?!

აგრემლდებით, ატირდებით, რით დავმარხოთ კაციო — უშოვნელი, უპოვნელი და უთბლიგაციო?!

მერე შოვნა გაძნელდება სასაფლაოს ნაკვეთის!.. თქვენ მექრთამე ჩავიტარებთ ფულობანას გაკვეთილს! მოვლენ ჩემი ამფსონები ყველა მხრისა და კუთხის, აქეთ-შესმა შესანდობრის. იქით — კუთხე საკურთხის!.. არაფერიც არ დარჩება ჩემთვის იმ საკურთხიდან, კვამლი ამოიკლავნება ანთებული ბუნრიდან!.. მზეც ამოვა, მთვარეც ჩავა, გაგრძელდება ცხოვრება, მაგრამ ჩემი არსებობა ვისლა ემანსოვრება?! ვერც ყამირი მიტეხია, ძეძვიც ვერ მიკაფია, ამიტომაც მევე მითქვამს ჩემი ეპიტაფია: „აჰ ბანისპენებს გვაპი, როველის გმრგლის კისარჯა იწვა... და საპუღამო მისაპინაპალ მიწის ლოგინჯა მიწვა“.

სარგო უურავილი

## ნარკვი

- შეილო, წელს მაინც ჩამოდი სოფელში და გვერდით დამიდექი!
- კიდევ მოითმინე, მამაჩემო, და, როცა მოკვდები, გვერდით კი არა, თავთან დაგიდგები!
- **ზოგი** უსულო სავანს სულიერს ანაცვალებს.
- **ზოგს** მაღლი ადლით აქვს მომადლებული.
- **ზოგი** თავის თავს მხოლოდ სარკეში ხედავს.

ლილი აბზიანიძე

- **ჩასრუკაშვილა** გოგია მ საზამთროს გაუგონარი მოსავალი მოიყვანა... ნავენსარში.
- **ჭაჭის** არაყად გამოხდის აკრძალვამ კახეთში გამოიწვია ქათმების მასობრივი თრობა: გადაყრილ ჭაჭას შინაური ცხოველები და ფრინველები ჭამენ!..
- **ბაგრიცხეს** სიფხიზლის საზოგადოების წევრობიდან იმ მიზეზით, რომ გარდაცვლილი ბების შესანდობარი დავლიე.
- **შვილიწი** გაზრდილ ვაზს ბევრი მამინაცვალი გამოუჩნდა.
- **გაფაღა** სახედაზრს ნალები გამოუცვალა. მისო ეკითხება: — რამდენ ხან გაუძლებს, ყვავილო? — გააჩნია, რა სჩქართი ივლი! — უპასუხა მჭედელმა.
- **უანის** ინსპექტორის მითითებით დღეს ქელები შვიდჭიქიანი იქნება.
- **ქვევრავში** შეგიძლიათ მოამზადოთ სხვადასხვა სახეობის მწნილი, თინა მას არომატს უნარჩუნებს და დიდხანს ინახავს.
- **პანახიდან** დაბრუნებულმა ნაჯაფარმა მისომ ლობიოს და მწნილს ჩაიღნიდან რამდენიმე ჭიქა ჩაის ჭიქით ჩაისფერი ღვინო დააყოლა, დანაყრდა, ტახტზე წამოწვა და სვრინვა ამოუშვა.
- **ღვინო-არაქმა** გული გამიფუჭა. ქართულმა ჩაიმ — თირკმლები, ხოლო წვენებმა — კუჭი. რა დავლიო?
- **უსცოელი ეთნოგრაფი**: — ქართველები ღამაზი და ტანადი ხალხია უძველესი კულტურით, ისტორიით, არიან სტუმართმოყვარენი და მშრომენი; ახლანდელ დროში ისინი მრავლდებიან თითო შვილით.
- **ახალ**, 1988 წელს დიდი შემართებით მუშაობს თბილქალაქ-წყალკანალმეურნობა: ხუთი ქუჩის ნაცვლად, გათხრილი და გავერანებულია ოცდაშვიდი ქუჩა!..

ჯონი ბაზარაშვილი

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



უსიტყვოდ



# საქრებულო

## საკანონო



**კანონი** ბაღი ამ გაზაფხულის ბირას ისე გალამაზებულიყო, რომ კაცის თვალი ვერ გაძლებოდა. ღონინი ბუნება და აღამიანის მარჯვე ხელები თითქოს ერთმანეთს შესჯიბრდნენ: აცა, ვინ ვის აჯობებს ამ ბაღის გალამაზებასა და შემკობაშიო.

ბაღს ირგვლივ ქეთიჯარის გალავანი ჰქონდა შემოვლებული. აღმოსავლეთის მხრიდან გალავანშივე იყო ჩაშენებული აგურით ნაშენი მღაღი, მრავალთაღოვანი ჭიშკარი, რომელსაც გათლილი მუხის ფიცრებისაგან შეკრული კარები ჰქონდა ჩამობმული.

ჭიშკრის ორივე კარი თუმცა ბოლომდე იყო გახსნილი, მაინც შეძახილის გარეშე წვეული სტუმრები ეზოში არ შედიოდნენ. კესო და არჩილი დიდი გულსხმიერებით შეხვდნენ „გლახის ნაამბობის“ გმირებს, რომელთაც წინ მღაღი, უკვე ჰქალარაშენებული, მაგრამ ჯერ კიდევ სიმწვევით სავსე ბლაღონი მოუძლოდათ.

— კურთხევა უფლისა შენზედა, ჩემო არჩილ! — მიესალმა ბლაღონი მასპინძელს და თან წარუდგინა თავისი თანამოსაგრენი: პეპია, გაბრო, დათიკო, თამარ, პეტრე და სხვები.

— მასპინძლო!.. მასპინძლო! — დაიძახა და ისეთი ქოშინით შემოვიდა ჭიშკარში, ყველა მიხვდა, რომ ლუარსაბ თათქარიძე ეწვიათ თავისი განუყრელი დარეჯანით. არჩილი გაეგება სტუმრებს და ლაღად შესძახა: — ჩვენს ლუარსაბს გაუმბაროს! როგორ ბრძანდებით, თავადიშვილო?

— ვაცივითა ვარ, ჩემო არჩილ, ვაცივით!..

— ქალბატონი დარეჯანი დიდი ხანია არ მინახავს, საკმაოდ გასუქებულია.

**ლუარსაბი:** რატო არ გასუქდება რა, ჰამა მამას არ აქლია და სმა!

დარეჯანი მყის წამოგორდა ხალიჩაზე. მას ლუარსაბმაც მიბაძა და ეს ორი გვამი, თავქვეშ მუთაქამოდებული, გულადმა გაწვა და რადგან ბუხები ვერსად დაინახეს, ფოთლებქვეშ მოფუფუსეს ფუტურებს დაუწყეს თვლა.

ბუკითა და ნღარით მობრძანდა თავისი ამალით მეფე დიმიტრი თავადებული. მას კვალდაკვალ მოჰყვნენ ბედკვეცილი განდევნილი, სათნო და სიკეთით სავსე პეტრე თავისი „ქურდი“ ბიჭებით.

სათუთად მიეფერა კესო ქართლის დედას. აქვე გაჩნდა გუთნისდედაც.

ლელთ ლუნიამაც აღარ დააყოვნა და თავისი ყოვანა ცხენით დოსტორივით შემოვიდა ეზოში.

თითქოს ცა გაიხსნა და ციდან ცისარტყლების კბით ჩამოეშვაო, ისე მოულოდნელად გაჩნდა აჩრდილი, რომელიც მყის აიგანზე მიიწვია მასპინძელმა და სტუმრებს გადმოსძახა: — მე მგონი ყველანი ვართ, ხომ არავინ გვაკლია?

— ოთარაანთ ქვრივი არ მოსულა! — ნადვლიანი ხმით ამცნო არჩილსაც და დამსწრეთაც ბუჩქის ძირას ატუხულმა სოსია მეწისქვილემ, რომლის მოსვლა არავის შეუმჩნევა.

— შენ რომ არ მოგეკითხე, კი არ მოვიდოდი, შენმა მზემა! — შეუბრუნა კარებში შემოსულმა ოთარაანთ ქვრივმა და პირდაპირ არჩილისაკენ გასწია. არჩილმა ენაზე მომდგარი სიტყვა შუაზე გაწყვიტა, სირბილით ჩამოათავა კბეები და გულითაღობით მოიკითხა: — ო, ნათლიდე! ნათლიდე! მობრძანდით!

ოთარაანთ ქვრივის გამოჩენაზე ყველანი თავისებურად მოიხუხუნენ და შეიშუშუნენ. ზოგს გაეღიმა, ზოგი გაოცდა. ლუარსაბი და დარეჯანი კი შიშით ერთმანეთს მიეხუტნენ.

ოთარაანთ ქვრივმა თავისი შავი კაბით ისეთი რიხითა და შემართებით ვაიარა, რომ თვით მეფემაც კი გვირგვინიანი თავი დაბლა დაუხარა და მოეაღერსა, ვითარცა უღიდეს დედას.

არჩილმა კვლავ თავისი ადგილი დაიკავა და სტუმრებს მიმართა: — მიუხედავად იმისა, რომ დღეს აქ თავი მოიყარეს მრავალი წრისა და საზოგადოების ხალხმა, ერმა და ბერმა, მეფემ და ყვამ, ყაჩაღმა და ღვთის მოსაგვამი, მაინც ყველანი ერთი დიდი კაცის ნაშვირნი ვართ. ეს ის კაცია, რომლის გარეშეც ჩვენ ვერასოდეს გავჩნდებოდით და თუნდაც გავჩენილიყავით, სიცოცხლეს ვერავინ მოგვანიჭებდა. ჩვენ გაგვამარადიულა ილია ჰევკავაძის ღვთაბრძოლა ნიჭმა, რომელსაც ახლა მთელი კაცობრიობა უხდის დაბადების 150-ე წლისთავს, როგორც თვალშეუღღამ მოვლენასა და კოლოსს!

მინდა ასეთი წინადადებით მოგმართო: — ამ გაზაფხულებში წერილების წერას, ტელევიზიით გამოცემას და მიუთხოვთ მოვეშვათ, ვეწვიოთ სულეთში ილიას, მიულოცოთ ეს მნიშვნელოვანი იუბილე და გავესალმებოთ. ჩვენ ჩვენი ვუთხრათ, — მან — თავისი. მასთან შეხვედრის შემთხვევა და მიზეზ-საბაბი ყოველთვის არ გვეჩვენება და მოდი, ვისარგებლოთ ამ შემთხვევით!

არჩილის წინადადებას თითქმის ერთხმად დაუჭირეს მხარი. ცოტა ლუარსაბი დაიბნა და იკითხა: — კი, მაგრამ სულეთში როგორ უნდა წავიდეთ? ურემი იქ ვერ ავა და ფაქტონი. თანაც იმსიძიმე ვარ, ლამის მიწა ჩავდრიკო და, აბა, ღრუბლებში რა დამაჯავებს?! მიწას დავენარცხები, აღარც ხორცი შემჩრჩება და აღარც სულს!

**არჩილმა** სულეთიდან ფასკუნჯების გუნდი გამოიძახა. ყველას სათითაო ფასკუნჯი მიუჩინა. მოკუფთავე ლუარსაბი და დარეჯანიც თან გაიყოლეს. მათი მტვირთველი ფრთოსნები ძლივს ძრავდნენ ფრთებს, მაგრამ მაინც მიფრინავდნენ ზევით, სულ ზევით, ვარსკვლავების მიღმა.

**წინ** არჩილი და აჩრდილი მიდიოდნენ. როგორც კი სულეთის სამყაროში შეაღწიეს, ორადორი გზა გამოჩნდა: გზა სამოთხისა, გზა ჯოჯოხეთისა. არჩილი და აჩრდილი არც შეყოვნებულან, ისე მიადგნენ სამოთხის კარებს, ღრმად დარწმუნებულნი, რომ ილია სამოთხეში დახვდებოდათ. მაგრამ მათ გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა სამოთხის განმგებელმა მოციქულმა განუცხადა, რომ იგი იქ არ იმყოფებოდა! როცა ამის მიზეზი ჰკითხეს, მოციქულმა ასე განუმარტა: — სამოთხე სამარადისო მოსვენების ადგილია, ის კი ცოცხალიცა და მკვდარიც იმას იძახოდა, — მოძრაობა და მოძრაობა!..

ჯოჯოხეთის მოციქულმა რომ გაიგო, ილიას კითხულობდნო, გადმოყარა სარის სფრძლე ჩაყვანულ-ჩაყვირებული ღოჯები და სიცილით იქაუბრა გააყრუა.

— ის რომ ჯოჯოხეთში შემოგვეშვა, აქაურ ცეცხლსა და გენიას ჩაგვიჭრობდა და მასაც სამოთხედ გადაქცევას დაუწყებდა!.. მერე ეს ამოდენა საჯოჯოხეთო ხალხი სად წაგვეყვანა?

— მაშინ დაგბრუნდეთ! აბა, აქ როდემდე უნდა ვიხეტიალოთ? — ჩაიბურტყუნა ლუარსაბმა.

— რას ამბობ, კაცო! ყვარელში ილიას მშობლების დაკარგული საფლავები მიწაში იბოვეს, ჩვენ სულეთში ილიას სულს ვერ უნდა მივაგნოთ?! — დიყვირა კაკო ყაჩაღმა.

ვიდრე ეს ხალხი სამოთხისა და ჯოჯოხეთის კარების დარეფებში ჯუფთაობდნენ, აჩრდილი ჯოჯოხეთსა და სამოთხეს გადმოფარებული ცის მიღმა აიჭრა და იქ, ერთგან, თეთრი ღრუბლების მიშების ძირას აღმართული სამსართულიანი ციხე შენიშნა, რომელიც წყლის ორი წვეთით ჰგავდა ჰევკავაძეთა იმ საგვარეულო კოშკს, სადაც ილია დაიბადა. არჩილს ეპვი აღარ შეჰპარვია, რომ მიავნო ილიას სამყო-საფლოს. მან სწრაფად იხმო თანამომენი, გაუძღვა წუნი და დოსტორივით შევიდნენ ხეივანითა და ათანაირი ყვავილებით დამშვენებულ ეზოში, რომლის შუაგულშიც ეს კოშკი იდგა.

ილიას სულს წინაშეარ შეეტყო და შეეგრძნო, რომ მისი გმირები დაეძებდნენ. ეზოს კართან შეეგება სულეთის სტუმრებს. ყველას უნდოდა ილიასთან გასაუბრება, მაგრამ პირი ვერავინ აართვა საუბარს, როგორც ილია იტყოდა ხოლმე, პაპიკს წვერი ვერავინ მოურღვია, და ამის გამო ერთგვარი უხერხულობა ჩამოვარდა. თვით ყველასთან ხმალოდებული ოთარაანთ ქვრივიც კი ღუმდა. ეს უხერხულობა ისევ ილიამ დაარღვია. სულ პირველად მაინც ოთარაანთ ქვრივს შეეხმინა: — როგორ ბრძანდება ჩვენი ოთარაანთ ქვრივი, ახალ დროსა და წუთისოფელს როგორ შეეგუა?..

— ოთარაანთ ქვრივი არც არავის შეეგუება და არც არავის შეიგუებს! როგორც დაბადა ღმერთმა და დედამ, იმაღვე დარჩა!

— ეს ამოდენა ღუნია ხალხი რომ ჩივის, ვიშვიშობს, მექრთამეობენო, წონა-ზომაში გვატყუებენო, კუთვნილს არ გვაძლევენო, ნუთუ შენ არავინ გაწყუბებს?

— ქრთამის გამლები თვითონაც მექრთამეა ან არამზადა. მაშ, საქრთამო ფულს სად შოულობს, ვინ აძლევს ან რად იხდის ისე საქმეს, რომ სხვის საშვე-





## სანამ?! სანამ?! — გეკითხვები!

ვით ბებერი პერსონაჟი,  
გაღმოსული არაკიდან,  
მოაზიჭებს, თითქოს ბედმა  
ზურგზე ცოდვა არ აკიდა!..

ანგრევს, რასაც მოერევა,  
აგებით ხომ სულ ვერ აგებს!  
თვისტომსაც და უცხო თესლსაც  
უსათუოდ უფერაგებს!..

რაკი დღემდე არ მორჩულდა,  
იმედი აქვს გაის რისა?  
სიკეთის და სიბრძნის ნერგი  
მის ფეხებქვეშ გაისრისა!..

გეტყვი, განა დაგიძალავ,  
გული შემეჩანდა რაზე? —  
ის უღირსი ლოჟაში ზის,  
ღირსეული — ქანდარაზე!..

დღეს ღვინო აქვს შხამნარევი,  
გუშინ ბასრი დანა ჰქონდა,  
გუშინ ბატკანს თამაშობდა,  
დღეს გველია ანაკონდა!..

ის გუნდრუკის ამო კვამლში,  
როგორც ძეგლი, დგას უსულში!  
სანამ?! სანამ?! — გეკითხები,  
დღევ, ლაჩრულად გასუსულში!



## თითქოს...

შვება თუ გსურს, —  
ამ ციხეჭვეთის  
ეგრიხე და  
ეფიგურა, —  
თითქოს შენთან  
განუყრელად  
ინახს იყოფს  
ეპიკურე!

თითქოს  
წუთისოფლის  
ნარდში  
მოგდის წყვილი  
კამათელი,  
ღმერთებს შენთან  
ძმობა უნდათ,  
შენც ზიხარ და  
ამათ ელი!  
თითქოს ეუბნები  
ფარეშს: —  
„იღოს უხვად  
თართი მანდო!“  
თავად შხამ-სამსალას  
ასხამ,  
ბრძენკაცობ და  
დარდიმანდობ!  
თითქოს ადგას  
შარავანდი  
შენს ტილოებს  
ეპიკურებს! —  
და სიცილით  
ტალავარში  
იგუდუბა  
ეპიკურე!..

## ის...

სახე! —  
სახე ჰქონდა  
მართლაც  
სატყვიო და  
სარკინოსი!  
გულის ფიცარს  
მიღუწავდა,  
ვით მოაღყე  
სარკინოსი!  
ავიტანე! —  
თურმე ძალშიძს  
უარესიც  
ავიტანო!..



ვრურჩულებდი:  
„ამ ყოფაში  
არ დაკარგო  
თავი, ტანო!“  
მგელი იყო,  
ვერ არევდი  
ან მელაში,  
ან ტურაში..  
ვერ შველოდა  
თვით ცხვრის  
ტყავის  
ვერაგული  
ანტურაჟი  
თავს იზღვევდა.  
მაგრამ მაინც  
თათი სისხლით  
დაისველა..  
მგელი იყო,  
მგლებთან ერთად  
ელოდება  
დაიხს ველად!..



## არბაკი

რას გაიგებს,  
რომც მოუთხრო  
სარს არაკი? —  
რას ღიგალობს,  
რომც შესთხოვო  
გარსის გამო  
არახოდებს  
არხს, არ აქო,  
თქმა მართლისა —  
საქმე შენი —  
არხ, არაკო!

## ფული გიგულდა შინაიქმუბა მობრხს

ფინიკიელი  
როცა პირველ  
მონეტას ჰრიდა,  
ვეება კარებს  
წამდაუწუმ  
გაჰქონდათ „ჭირი“... და  
ზარაფსანიდინ  
მონებს ცანძი  
... გაჰქონდათ ჰრელი  
და ახალ ერას  
აფუძნებდა  
მონეტის მჭრელი!  
მას აქეთ მდიდარს  
ბანანი და  
ფინიკი ელის,  
ჩიბეგახვრეტობს  
წუველა უწევს  
ფინიკიელის!



## ესაც ცხოვრება თუა!..

როცა პოეტი  
ისწავლის ჭკუას,  
იშოვის ფულს და  
განდება ბრძენი,  
ტახტზე მორბეული,  
ჩინების მჩენი,  
ილაპარაკებს  
მოჩლეტილ ენით  
და არ ეყოფა  
ხშიადის ყუბა,  
ხახვის ბოლქვი და  
ყველის ნაჭერი.  
სხვათა და სხვათა  
უხმოდ დაამჭერი  
ბრტყელ-ბრტყელ ოდებზეც  
არ იტყვის უარს! —  
წეროს, თუ ენლო  
ვინმე დაწერიოს,  
იცხოვროს, — ესეც  
ცხოვრება თუა!  
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

# ეპიგრაფიკული ძეგლები

1 ნაწილი

ხელთ მაქვს ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (თბილისი, 1979 წ., IV. გვ. 165), სადაც ვკითხულობთ: „ეპიგრაფიკა – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს მაგარ მასალაზე (ქვა, ლითონი, მინა, ძვალი, კერამიკა...) შესრულებულ ძველ ნაწარმოებს. ამგვარი წარწერები პირობითად ორ შთავარ ჯგუფად იყოფა: 1. მონუმენტური ხასიათის წარწერები (ქვაზე, კედელზე, შენობის კედელზე, სვეტებზე); 2. წარწერები პრაქტიკული დანიშნულების ნივთებზე. ეპიგრაფიკა შეისწავლის წარწერათა როგორც გარეგნულ მხარეს, ისე მათ შინაარსს“.

ეპიგრაფიკულ ძეგლებს ძველთაგანვე, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იყენებდნენ თავიანთ ნაშრომებში ისტორიკოსები, იქვე მითითებულია, რომ „დიდი ხნის ისტორია და კარგი ტრადიცია აქვს ქართულ ეპიგრაფიკას. წარწერათა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია ცალკე თუ კრებულების სახით“.

ამჯერად გვინდა ჩვენი წვლილი შევიტანოთ „ეპიგრაფიკული ძეგლების“ შესწავლა-გამოქვეყნებაში. მაქვს მთელი რიგი აღმოჩენები, დაკვირვებები, ჩაღმავებები და სხვა.

1. დავიწყეთ იქიდან, რომ ჩვენს მიერ „აღმოჩენილი“ და შესწავლილი „ეპიგრაფიკული წარწერები“ შესრულებულია რბილ მასალაზე (და არა მაგარზე – ქვა, ლითონი, მინა...);

2. წარწერები შესრულებულია XX საუკუნის 80-იან წლებში.

3. შინაარსის მიხედვით წარწერების დაჯგუფებაც სერხდება. კონკრეტულად: წარწერები, რომლებშიც ა) მ ე გ ო ბ რ ო ბ ა ს ეხება: ზვიადი და ოპანესი“, 87. 16. 1. სხვადასხვა ენაზე შესრულებული წარწერები „გიორგი 19. VI. 86. ბექა 1986“ (მ შ ო ბ ლ ი უ რ ი), „Artem“ – რუსულ ენაზე, Besik – ჩემი აზრით, გერმანულ ენაზე. 4. წარწერები, რომლებიც სიყვარულის თემას ეხება: „ირმა+თამაზი“ და მათემატიკურად გაანგარიშებული იგივე საკითხი H+D=1 და სხვა (იხ. წყარო: ექსპრესი №5, გას, 61-57).

არანაკლებ საყურადღებო მასალები მოვიძიეთ მეორე ობიექტზე (ექსპრესი №5 გას 22-37), მაგრამ აღნიშნულ „იკარუსში“ გარკვეულ სიძნელებებს წააწყდით: ჩვენდა სამწუხაროდ, წარწერიანი ძველი საზურგები დაფარული იყო ახალი შალითებით. მაგრამ, როგორც ჭეშმარიტი მკვლევარი, არ შევეშინდი დაბრკოლებებს და განვაგრძე ძიება, თუმცა ქვეყნად რა გამოლევს მჩხანელ-მჯღამ-ნელებს?! ახალთახალ შალითებზე კვლავ აღმოჩნდა საინტერესო წარწერები: 1. მეგობრობაზე – გელა, Дима, Рома. 2. თანაქურსალებზე – „ციცინო და მარინა, 1 მარტი 1987 წ“. ყველაზე დიდ „აღმოჩენად“ მიმაჩნია ჩემ მიერ მიკვლეული წარწერა:




«Магули, где ты? Разыски ваетя королева Брейк-дан-са».

ამ წარწერაში რამდენიმე მომენტია აღსანიშნავი: 1. მაგული სად ხარ? ე. ი. ეძებენ მაგულის და ჩვენც უნდა მოვეხმაროთ დამწერს. 2. რაც მთავარია, მაგულის ეძებენ, რადგან იგი „ბრეიკ-დანსის“ დედოფალი ყოფილა, და თუ არ მოვძებნით ცეკვის დედოფალს, შესაძლებელია ბევრი დაკარგოს ხელოვნების თვალსაზრისით ჩვენმა დედაქალაქმა! ბოლოს ისევ ერთუცნობიანი ამოცანა სიყვარულზე: ვანო+X=შ. და X=შ – ვანო“. ჩემი აზრით, ეს წარწერა ასახავს ვანოსა და X (გოგონას) სიყვარულს, ე. ი. „ვანო+გოგონა (X)=შ“, ანუ შეყვარებულებს. სოლო თუ „შ“ ჩვენი დაკვირვებით შეყვარებულს ნიშნავს, მაშინ მეორე მონაცემით – „X=შ – ვანო“ – გამოდის რომ „გოგონა-შეყვარებულს – ვანო“. აქ ცოტა დავიბენი, ალბათ მათემატიკოსები დაგვეხმარებინ ასეთი „შედეგების“ გაშიფვრაში, საყურადღებოა, რომ ამ საინტერესო „ეპიგრაფიკულ ძეგლებს“ ყოველდღე 20 კაბიკად კითხულობს ათეულობით ადამიანი, მაგრამ მხოლოდ მე შევძელი მათი მეცნიერული შესწავლა.

გარდა ამისა, უთუოდ ყურადღების ღირსია ავტობუსების სკამების საზურგებზე გამოსახული ნახაზები და ნახატები, რომლებიც სხვადასხვა სპეციალისტებს ელოდებიან!.. იჩქარეთ, იჩქარეთ, ვიდრე ავტომეურნეობის მესვეურთა ყურამდე მიაღწევს მსგავსი „ეპიგრაფიკული ძეგლების“ ფასი!

გურამ განიტაშვილი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ნახ. ნ. ასლანაშვილისა

— ამ გამოგონებით თქვენ საშვილიშვილო საქმე გააკეთეთ და ჩვენც საიმედოდ შევუნახავთ შვილიშვილებს!..

ნახ. შ. ლელაძისა



— ომსკიდან და ლენინგრადიდან გამოშვებულ და ახლა როსტოვში მიფრინავ აღსადგენად!





გშენის ღვთიური ნიჭი და ჯკუა,  
და წმინდანების სულთა ბრწყინვა ხარ!..  
შენს უნიკალურ შედეგებს შუა  
უნთისარ ქართულ ტინარულ მინანქრად!

გმობ ერისკაცის მკაცრი დაგმობით  
იმ ნაძირალას და ვიგინდარას,  
ვინც ზრდის და იცავს „ჭარბად დაგროვილ  
სიცოცხლესა და სიყალბის მარაგს“!

გაქვს სული, გული, პიესა, ლექსი,  
ოჯახი, სიტყვა, საქმე — ხალასი!  
ხარ საქართველოს სინდისის ულჩი  
მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანაში!

არწივების და ალბატროსების,  
ვეფხვებისა და ლომების ლოცვად  
ელანდებოდი ალბათ რუსთაველს,  
თავის აუთანდილს სატავედა როცა!

რომ საქართველო არის უკვდავი,  
ამტკიცებს შენი „კვალი ნათელიც“!  
ხარ სიკვდილისგან თავისუფალი!  
შენებრი ბევრი არ იბადება!

ქართველი ერი გინთია მზედ და  
მის სწივოსნობას ემსახურები!  
ზოგი წუნს შენსა „კეთილსა ზედა“!..  
ეს, ჩემო რ ე ზ ო, ისე, ხუმრობით!

## სალალობო სტრიქონები

### 60 წლის რეზო თაბუკაშვილს

საქართველოში არის მსოფლიო  
და მსოფლიოში საქართველოა!  
კ უ რ ც ხ ა ლ ფ ი ლ მ ე ბ ა დ მამულს მოჰფინე  
შენ ამ სიტყვების თვალნათელობა!

შენი შექმნილი არის ქ ა რ თ უ ლ ი  
დოკუმენტური კ ი ნ ო ე ვ რ ი კ ა —  
მაღალიდეურ-მაღალმხატვრული —  
და მისი შექმნის პ ი ო ს ნ ე რ ი ხარ!

ფირზე წარუვლად აღბეჭდე, რ ე ზ ო,  
ქართველი ერის სულის და ფ ა რ ნ ა!  
შექსპირის უჭკნობ სონეტებს ეზო  
ქართული ენით გაუდაფნარე!

შენ საქართველოს ეძებ, პოულობ  
და აბინადრებ საქართველოში..  
რამდენი ღვაწლიც გაქვს გაწეული,  
მე აქ სუყველას ახლა ვერ მოვთვლი!

ამქვეყნად მარტო მამულს მონებ და  
მამულზე ფიქრებს თვითონ ღმერთს ანდობ!..  
გრძნობ „შორიელთა“ სიახლოვესაც  
და ახლობელთა სიშორესაც გრძნობ!

სიმაღლეს გეტყვი! — ღმერთმა მიბრძანა! —  
და ნუ იქნები ჩემდამი მკაცრი:  
თუ საქართველო ერთ კაცში ჩავა, —  
შენ ხარ ერთ-ერთი ასეთი კაცი!

უ ც ხ ო ე თ შ ი ც ქუხს შენი სახელი  
და ამას უნდა დავუკავშირო:  
წარმატებისგან თავბრუდახვევა  
შენთვის უ ც ხ ო ა, თ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ო!

მოსალოცავი მოლოცვილია!  
კვლავ გაუკვალავ გზებს ეჭიდები!  
როგორც დ ა ვ ი თ ი, როგორც ი ლ ი ა,  
დღეს საქართველოს ისე სჭირდები!

დიდი ექვთიმე თაყაიშვილის  
სიმაღლეს მინდა გაუტოლფასდე!  
თ ა ყ ვ ა ნ ი ს ც ე მ ი თ, თ ა ყ ვ ა ნ ი ს ც ე მ ი თ,  
თ ა ყ ვ ა ნ ი ს ც ე მ ი თ! —  
ზ ა უ რ ბ ო ლ ქ ვ ა კ ა

მეგობრული შარყი მწერალ  
თენგიზ გოგოლაძისა

# ქვირი მოყოსუნა მეორი პოეზი

**ქუთაისში** ძვერკინსკის ქუჩის აღმართს რომ აივლიდით, იქ, სადაც მე-ბუთე შესახვევი იწყებოდა, ერთი პატარა მოედანი იყო... საშარტულიანი სახლის მშენებლობა დაეწყოთ. სამშენებლო მოედანი ფიცრის ლიბით შემოეკავებინათ. ამ მიდამოს ადგილობრივი მცხოვრებნი „ნარი-მანას ბაზარს“ ეძახდნენ.

ჩვენი სტუდენტობის დროს შემოდგომის ობილ დღეებში აქ ხშირად ნახავდით ორ-მოცდათ წელს მითანებულ წითურ კაცს, რომელსაც იოსება ერქვა. ზოგი იოსებას ეძახდა, ზოგი — სოსოს, ზოგიც კიდევ უფრო მარტივად — სებოს.

სებოს პატარა კასრით გამოჰქონდა ღვინო, იქვე ნათხოვარ ტაბურეტზე დადგამდა და ყიდდა ლიტრს სამ მანეთად. ლალისფერი სასნელი იყო. — მაგლობლიშვილის ჯიშის ყურძნისაო, — ამბობდა პატრონი. ფერი მიმზიდველი ჰქონდა და არც სიმარე აკლდა. გამკვლე-გამომვლელის დანახვაზე სებოს თავდავიწყებით ატებდა.

მუშტარი არ ელეოდა. ზოგი იქვე გადაკრავდა, ზოგიც ბოთლებით მიადგებოდა სებოს და 3-4 ლიტრს გაუსალბდა. კასრი რომ დაივლებოდა, სებოს იქვე, ერთ ეზოში შეიბრუნდა, სადაც უფრო დიდი კასრით ჩამოტანილი ღვინო ჰქონდა, გადმოსასამდა პატარაში და კვლავ სირაჯობდა.

მე და ლადო ასათიანი ხშირად ვყოფილვართ იოსებას მუშტარი — ჩვენც გვიყვია მისგან ღვინო, რაკი მე იქვე ვცხოვრობდი, შევიდოდით ჩემს ნაქირავებ ოთახში და სულმოუთქვლად ვეწაფებოდით სებოს ნაქებ „მაგლობლიშვილს“.

მუშტარები სებოსთან გამინაურებული იყვნენ. ზოგი ნისიადაც კი გამოიბრუებოდა ქუჩაში. სებოს უხარდა, ყველას ენდობოდა, გულლია იმერელი იყო.

— სებოს, ასეთ კარგ ღვინოს რომ ყიდი, სამაგიეროდ რას ყიდულობ? — ელაზნანდარებოდნენ ბიჭები.

სებოს კი სახეს შეიჭმუნინდა, ჩაფიქრებოდა და ნაღვლიანად უპასუხებდა:

— ეჰ, ბიჭებო, თქვენ რა იცით ჩემი გასაჭირი!.. ქალიშვილს ვათხოვებ... სასიძო მზითვად როიალს მთხოვს და მის საყიდელ ფულს ვაგროვებ.

ჭიკა ღვინო უსასყიდლოდ დაგვალევიანა. ამით გახარებულმა ლადომ მოულოდნელად ჰკითხა:

„**რატომ ყიდულობ, სებოს, როიალს, ახლა მაგისი ყიდვის დროა?**“

და მერე პასუხი თვითონვე გასცა ამ კითხვას:

„**მირტომ ყიდულობს როიალს სებოს, მუსიკალურად რო იარსებოს!**“

— აგაშენა ღმერთმა!.. — მოეწონა ლადოს ნათქვამი მასპინძელს.

არ ვიცი, სებოს მართლა როიალისთვის აგროვებდა ფულს თუ სხვა რამ უჭირდა, მაგრამ ამ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ლადოს მიერ ექსპრომტად თქმული ეს მრჩობლები კარგად დამამახსოვრდა.

ლადოს ესერებოდა გარითმული წინადადებების სახელდახელოდ წარმოთქმა. მახსოვს, ჩვენი სტუდენტობის დროს ქუთაისის სასაუზმეებში სოსისი გამოჩნდა. ერთხელ ჩვენც განვიზრახეთ სოსისისა და ლუდის მირთმევა. ლადოს იმ დღეს რომელიც ლექსის პონორარი აელო. შევედით ქალაქის ბაღის პირას მდებარე სასაუზმეში. მდოგვასმულ სოსისს პირში ტყაცუნი გაჰქონდა, ცივი ლუდით საგეს კათხები ზედისედი იცლებოდა.

რომ დაზაყრდით და ლადომ ფული გადაიხადა, მომიბრუნდა და ირონიულად ჩაილაპარაკა:

„**მართლა კაი „სასისია“ მარა კაი ფასიც კი აქვს!**“

ხელმოკლე პოეტს ებერა დანახარჯი...

## ლექსი აირჩინაღვ



— რამდენი ღვინო უნდა გაყიდო, სებოს, როიალის საყიდელი ფული რომ მოაგროვო? — ჰკითხავდა ვილცა.  
— აბა, რა ვიცი!.. ამბობენ, ძალიან ძვირიაო! — ამოიხრებდა იგი და ფხვსაცმლის ჭკინტით მიწას ჩიჩქნას დაუწყებდა. ერთხელ სებოს მე და ლადოს თითო ჩანს

ლექციაზე აირჩინაღვ გვაცნობდნენ), ლადომ ქალაღდის ნაგლეჯზე დაწერილი ლექსი ამხანაგების ჯგუფში ხმაძალა წაიკითხა. აი ის, რაც იმ მოზრდილი ლექსიდან დღესაც მახსოვს:

„**ო, სამხედრო ლექციაზე იარაღს რომ ჩავეხოვი, გამოჩნდება წურწუშია ან მეორე — ჩარქოვი. გამოჩნდება და შემირყვის წმინდა ენას — წმინდა ქართულს. იტყვის: — ხედავთ, ყმაწვილებო, ამ „კარტიჩას“ წინ, დახატულს? ეს „რაზრუზი“, ნაცრისფერი, აქეთ, აი, წინა, ღია, გაზების დროს ჩასაცმელი ჩვენი აირწინაღია... მძიმეებს მე ვიკარანახებთ, თქვენ დოუსვით „ტროკებიო“... — ამისთანა ჩიქორთულმა აგვატკივა „პოჩკებიო“... და სხვ.**“

ლექსი მოგვეწონა, რადგან ყველას გულისტკივილს გამოხატავდა. მე ჩვენი ფაკულტეტის კედლის გაზეთის რედაქტორი ვიყავი და ერთი კი ვიფიქრე, ეს ლექსი იუმორის განყოფილებაში გამოიმეკვენებინა, დაამშვენებს-მუთქი, მაგრამ ლადომ თავი მოიკლა, — საგაზეთოდ კი არ დამიწერია, გასართობად ვიხუმრეო.

მესამე კურსზე რომ გადავიდოდით, ივლისში ჩვენი ჯგუფები ორკვირიან სამხედრო ბანაკში წაიყვანეს, ოლონდ ორიოდე სხვა სტუდენტთან ერთად მე და ჩემი კურსელი, შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი რაჟდენ გაბეჩავა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ქალაქში, საფიჩხის სასაფლაოზე დაგვტოვეს საბანაკო შეკრების გასაველად. ჩვენ, როგორც მომავალ ფილოლოგებს, ბანაკის უფროსმა დაგვაუაღა: — რაკი თქვენ წერა გეხერებათ, ყოველდღე „საბრძოლო ფურცლები“ გამოუშვით, ოლონდ ჩემზე ლექსი არ დაწეროთ!..

ეტყობა, კიდევ ახსოვდა ლადოს ლექსის სუსნი...

## გიორგი შალაგვარიძე

**პედაგოგიურ ინსტიტუტში** სამხედრო საქმესაც ვუფლებოდით. გავდიოდით სამწყობრო და საცეცხლე მომზადებას, ქიმიურ თავდაცვას, სასროლო მომზადებას. გვასწავლიდნენ ამ საქმის მაღალკვალიფიცირი სპეციალისტები, კადრის ოფიცრები, გულისხმიერი ადამიანები, შესანიშნავი პედაგოგები. მაგრამ რაკი სწავლა-განათლება რუსულ ენაზე ჰქონდათ მიღებული და ქართული სამხედრო ტერმინოლოგიაც იმამად დაუმუშავებელი იყო, მეტყველებებში ძალაუნებურად ზოგჯერ არაქართულ სიტყვებს ხმარობდნენ. ეს განსაკუთრებით აღიზიანებდა ლადოს.

ერთხელ, ეს იყო 1935 წლის შემოდგომაზე, — მაშინ მეორე კურსზე ვიყავით, — სამხედრო ლექცია რომ დაგვიმთავრდა (ამ





ნებისმიერი ახალი შეტევა ირანის მიმართ უფრო მეტ ზიანს აყენებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, ვიდრე თვით ირანს.  
 ნავთობის პლატფორმებზე თავდასხმით ამერიკამ 50 მილიარდი დოლარით იზარალა, ირანმა კი — 200 მილიონით.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 1 (1755). იანვარი, გამოდის 1923 წლის იენისიდან.

მთავარი რედაქტორი  
**ზაურ გოლკვაძე**

სარედაქციო კოლეგია:

**ავთანდილ ადღიშვილი**  
 (პასუხისმგებელი მდივანი),  
 კაბუა ამირეჯიბი, ნოზაძე  
 ბართაია, ბორის გურგუ-  
 ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-  
 მალ ლოლუა, ნოდარ მა-  
 ლაშონია (მხატვარ-რედაქ-  
 ტორი), ალექსანდრე სამ-  
 ხონია, ბეჟან სიხარულიძე  
 (მთავარი რედაქტორის მო-  
 ადგილე), ჯანსუღ ჩარკვია-  
 ნი, თამაზ წიგწივაძე, ნა-  
 ფი ჯუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი  
**ირაკლი ღუნღუა**


გადაეცა ასაწყობად  
 03. 12 87 წ. ხელმოწერი-  
 ლია დასაბეჭდად 21. 01.  
 88 წ. ქალაქის ზომა  
 60x90/8, ფიზიკური ნაბე-  
 ქდი ფურცელი 1,5. სააღ-  
 რიცვო-საგამომცემლო თა-  
 ბანი 1,9, საქართველოს კე-  
 ტის გამომცემლობა,  
 ლენინის 14. შეკვ. 2842  
 უფ. 01222 ტირაჟი 140000  
 უფრნალი გამოდის თვეში  
 ორჯერ. რედაქციაში შემო-  
 სული მასალები ავტორებს  
 არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
 თბილისი-8, რუსთაველის  
 პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
 რედაქტორის — 99-55-54,  
 მთ. რედ. მოადგილის —  
 93-19-42, პ/მგ მდივნის —  
 93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
 ტორის — 99-02-38, გან-  
 ყობილებათა გამგეების —  
 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
 მუშაეების — 99-02-38,  
 მდივან-მეგან ქანის —  
 99-76-69.

სატირიკო - იუმორისტичე-  
 ский журнал «НИАН-  
 ГИ» (на грузинском  
 языке). Тбилиси, пр. Ру-  
 ставели № 42. Издаель-  
 ство ЦК КП Грузии,  
 Ордена Трудового Крас-  
 ного Знамени типогра-  
 фия издательства ЦК  
 КП Грузии, Тбилиси,  
 улица Ленина № 14.

ფანი 20 კაპ,  
 ინდექსი 76137



ნა. ბ. ლომიძისა



მილიტარიზმის უაუტყვევა

სასნივნალო